

ენათმეცნიერება Linguistic

დროითი ფორმების ფუნქციონირება სხვადასხვა ტიპის დისკურსში:
futur antérieur და passé simple გამოყენების
თავისებურებები ფრანგულ ენაში

ეკატერინე გაჩეჩილაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ელ.ფოსტა: ekaterine.gachechiladze@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.03>

SJIF 2025: 8.584

თანამედროვე ფრანგული ენის დისკურსული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია იმის კვლევა, თუ როგორ ფუნქციონირებენ გრამატიკული ფორმები სხვადასხვა ტიპის მეტყველებაში. ერთი და იგივე ზმნური ფორმა შესაძლოა სრულიად განსხვავებულ სემანტიკურ და პრაგმატიკულ როლს ასრულებდეს დისკურსის ტიპის ცვლილებისას. ზმნურ დროით ფორმათა ფუნქციონირება დამოკიდებულია ტექსტის სტრუქტურაზე, მიზნებზე, სტილისტურ ნორმებსა და მეტყველების ფორმაზე (ფორმალური, სპონტანური, წერილობითი თუ ზეპირი). განსაკუთრებით საინტერესოა იმ ფორმების განხილვა, რომლებიც შედარებით იშვიათად გვხვდება ყოველდღიურ მეტყველებაში, თუმცა მნიშვნელოვან სემანტიკურ დატვირთვას ატარებს. სტატიაში განხილულია ზმნური ფორმების futur antérieur და passé simple ფუნქციონირების შედარებითი ანალიზი ორ განსხვავებულ დისკურსში: ბეჭდური პრესის ტექსტებსა და სპონტანურ წერილობით მეტყველებაში, როგორცაა მომხმარებლების კომენტარები, ონლაინ მიმოხილვები და სხვა სახის არარედაქტირებული ტექსტები. ორივე ფორმა პრესის ტექსტებში ასრულებს არა მხოლოდ დროით, არამედ მოდალურ, შეფასებით ფუნქციებსაც, ხოლო სპონტანურ წერილობით მეტყველებაში ისინი ან იშვიათად გვხვდება, ან ფუნქციურად ტრანსფორმირდება. აღნიშნული დინამიკა ნათლად აჩვენებს, რომ ზმნური ფორმის ფუნქცია არ არის სტატიკური და ის განისაზღვრება დისკურსული გარემოთი, კომუნიკაციური მიზნებითა და სოციალური კონტექსტით.

საკვანძო სიტყვები: დისკურსის ანალიზი, სპონტანური მეტყველება, ზმნური დროები, წერილობითი დისკურსი

თანამედროვე ფრანგულ ენაში ერთი და იგივე ზმნური ფორმა შესაძლოა სრულიად განსხვავებულ სემანტიკურ და პრაგმატიკულ როლს ასრულებდეს დისკურსის ტიპის ცვლილებისას. ზმნურ დროით ფორმათა ფუნქციონირება დამოკიდებულია ტექსტის სტრუქტურაზე, მიზნებზე, სტილისტურ ნორმებსა და მეტყველების ფორმაზე (ფორმალური, სპონტანური, წერილობითი თუ ზეპირი). სტატიაში განხილულია ზმნური ფორმების futur antérieur და passé simple ფუნქციონირების შედარებითი ანალიზი ორ განსხვავებულ დისკურსში: ბეჭდური პრესის ტექსტებსა (*Le Figaro*, *Le Monde*, *Libération* და სხვ.) და სპონტანურ წერილობით მეტყველებაში, როგორცაა მომხმარებლების კომენტარები, ონლაინ მიმოხილვები

და სხვა სახის არარედაქტირებული ტექსტები, მოცემული ინტერნეტფორუმებზე, ბლოგების კომენტარებსა თუ საზოგადოებრივ დისკუსიებში.

ტრადიციულად მიჩნეულია, რომ futur antérieur (წინარე მომავალი), პირველ რიგში, გამოიყენება დასრულებული მოქმედების გამოსახატავად მომავალში და გვიჩვენებს სხვა მომავალი მოქმედების წინარე მოქმედებას. მას გააჩნია დამატებითი ფუნქცია - გამოხატოს წარსულში მომხდარი სავარაუდო მოქმედება, ხოლო იშვიათად - რეალურად დასრულებული წარსული მოქმედება. (გრევისი, გოსი 1994: 1259).

ბეჭდურ მედიასა და სპონტანურ წერილობით დისკურსში futur antérieur-ის ფუნქციონირების გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ პრესის კორპუსის დაახლოებით 24% და კომენტარების კორპუსის დაახლოებით 16% გამოხატავს მომავალთან დაკავშირებულ მნიშვნელობას. დანარჩენ შემთხვევებში futur antérieur-ის ფორმები ძირითადად გამოიყენება რეალური ან სავარაუდო წარსული მოქმედების გამოსახატავად, რაც ნაკლებად შეესატყვისება გრამატიკოსთა მიერ მისთვის განსაზღვრულ ძირითად ფუნქციებს. futur antérieur-ის ფორმები სხვადასხვა სახის დისკურსში სხვადასხვანაირად ახდენს თავისი მნიშვნელობის აქტუალიზებას: ბეჭდური მედიის ტექსტებში ჭარბობს სავარაუდო წარსული მოქმედების მნიშვნელობის გამოხატვა, ხოლო სპონტანურ წერილობით დისკურსში - წარსულში მომხდარი რეალური მოქმედების მნიშვნელობის გადმოცემა. პრესის კორპუსი: Pour atteindre son objectif, il aura dépensé pas moins de deux milliards d'euros en neuf ans (*Le Figaro* 20.05.2022). კომენტარების კორპუსი: Il aura fallu patienter neuf ans après la sortie du «Retour du roi» <...> pour découvrir sur grand écran les aventures de Bilbo le Hobbit et son voyage très attendu. საინტერესოა ისიც, რომ სპონტანურ წერილობით დისკურსში futur antérieur ხშირად ჩნდება ტექსტის შემაჯამებელ ნაწილში: En conclusion, ce 1er épisode... ne m'aura pas transporté comme... რაც ცხადყოფს, რომ მას უპირატესად შეფასებითი მნიშვნელობა ენიჭება.

futur antérieur-ის ფუნქციები მრავალმხრივია და იგი ეყრდნობა როგორც დროის, ასევე მოდალურ და სტილისტურ მახასიათებლებს. როგორც უკვე აღინიშნა, futur antérieur-ის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა მომავალში რაიმე მოვლენის წინამორბედი მოქმედების გამოხატვა, თუმცა კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ეს ფუნქცია არც ისე ხშირად გვხვდება დისკურსში. პრესის კორპუსში ხშირი არაა futur antérieur-ის გამოყენება მომავლის მოვლენებთან მიმართებით წინარე მოქმედების გამოსახატავად. მაგალითად: *Pour comprendre la profondeur de la saignée, ajoutons que, en cinq ans, ce ne seront ainsi pas moins de 50,000 posts qui auront été rayés de la carte hospitalière.* კომენტარების კორპუსში futur antérieur-ის გამოყენება მნიშვნელოვნად ნაკლებია პრესის კორპუსთან შედარებით, მაგალითად: *Mais honnêtement, quand vous aurez vu la dernière minute du dernier film, quel fan ne se dira pas: "Noooooooooon, c'est déjà fini?".* კორპუსულმა ანალიზმა აჩვენა, რომ futur antérieur ფრანგულ დისკურსში ასრულებს როგორც დროით, ასევე მოდალურ და პრაგმატიკულ ფუნქციებს. მისი გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული დისკურსის ტიპთან და კომუნიკაციური მიზნებით განისაზღვრება.

რაც შეეხება passé simple (მარტივი წარსული), ტრადიციულად მიიჩნევა, რომ იგი გამოიყენება წარსულში მომხდარი დასრულებული მოქმედების, იმ ფაქტის გამოსახატად, რომელსაც კავშირი არა აქვს ახლანდელ მომენტთან. გარდა ამისა, passé simple-ის ფორმებს აქვს სხვა დამატებითი ფუნქცია, როგორცაა ყურადღების მიქცევა, მომხდარი მოქმედების მოულოდნელობის ხაზგასმის. (რიგელი, პელატი, რიული 2009: 537). პრესის კორპუსში passé simple-ის ფორმათა დაახლოებით 80% გამოყენებულია ისტორიული ფაქტის გამოსახატავად თარიღისა და კონკრეტული ისტორიული ეპოქის მითითებით: Le point d'orgue de ce conflit fut l'arrêt de la Cour constitutionnelle espagnole du 28 juin 2020. (*La Croix* 22.11.2022).

ფორმათა დანარჩენ 20 % არ გააჩნია დამატებითი სემანტიკა და გვიჩვენებენ წარსულში მომხდარ დასრულებულ მოქმედებას: Le candidat sélectionné fut embauché. Et on n'en parla plus. (*Le Monde* 21.01.2023). სპონტანურ წერილობით მეტყველებაში passé simple-ის ფორმათა მხოლოდ 35% გამოხატავს შესაბამის მნიშვნელობას, თანაც ძალზე იშვიათად გვხვდება თარიღი:

Puis vient la seconde partie, où l'hommage prend tout son sens avec l'histoire des Studios Star de Méliès et comment ce dernier fit ses nombreux courts métrages, avec plusieurs extraits de ses œuvres...

ფრანგი ენათმეცნიერები კამათობენ მეტყველებაში *passé simple*-ის გამოყენების სიხშირის შესახებ. ხშირ შემთხვევაში საუბარია მის შეზღუდულ გამოყენებაზე ზეპირმეტყველებაში: „Le passé simple exprime le passé directement en tant que passé, mais ce temps a un emploi restreint dans la langue parlée d'aujourd'hui. Pourquoi ce paradoxe?“ [დამურეტი, პიშონი, 333]. უფრო რადიკალურ თვალსაზრისს გამოთქვამს იმბსი, რომელიც აცხადებს, რომ *passé simple* საბოლოოდ ტოვებს ფრანგულ ენას: „Quoi qu'on ait pu dire et écrire, le passé simple est mort dans le français parlé commun: son emploi en dehors de la langue écrite fait pédant et provincial“ (იმბსი, 2009: 87). ამ არათანაბარი გამოყენების გამო *passé simple* უკვე „ასოცირებულია“ წერილობით მეტყველებასთან: „Dans la langue vivante, la place du passé simple est très limitée. Il ne se rencontre que dans la langue écrite et est donc marquée au point de vue stylistique“ (შოგტი, 1968: 39). თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ *passé simple*-ის სრულ გაუჩინარებას საფრთხე არ ემუქრება: „En outre, dans certaines circonstances, le passé simple se rencontre encore à l'oral“ (რიგელი, პელატი 2009: 539).

როგორც აღვნიშნეთ, *Passé simple* კლასიკურად მიიჩნევა ლიტერატურულ წარსულად და წერილობითი ნარატიული სტილისთვის დამახასიათებელი ფორმაა, თუმცა პრესის ტექსტებში ის ხშირად გამოიყენება სათაურებში, უმთავრესად დრამატული ეფექტის შესაქმნელად: „Le président déclara la guerre“, „Il se leva et partit sans dire un mot“. სპონტანურ წერილობით დისკურსში მისი გამოყენება ნაკლებად ფიქსირდება, რაც ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ რაც უფრო იშვიათად გვხვდება ესა თუ ის ზმნური ფორმა, მით უფრო იშვიათად გამოიყენება იგი არაოფიციალურ დისკურსში. ამ შემთხვევაში *passé simple*-ს ანაცვლებს უფრო ხშირად გამოიყენებული ფორმები, როგორიცაა *passé composé*: „Il a déclaré la guerre“ ან „Il est parti sans rien dire“.

საკვლევ კორპუსებში სხვადასხვაგვარი ინტენსივობით გვხვდება *passé simple*-ის ფორმები: პრესის კორპუსში დაფიქსირდა 244 შემთხვევა, ხოლო კომენტარების კორპუსში – 104. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორივე კორპუსში არის ტექსტები, რომლებშიც *passé simple*-ის გამოყენების მაღალი სიხშირეა. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს ტექსტის ბუნებით (მაგ. ისტორიული ამბები), ან ავტორის ინდივიდუალური სტილით (კომენტარების კორპუსი). მაგალითად, 848 სიტყვიან სტატიაში *passé simple*-ის ფორმები 29-ჯერ ჩნდება, ხოლო 523 სიტყვის მიმოხილვაში – 15-ჯერ. როგორც წესი, *passé simple* გამოხატავს მოქმედებას ობიექტური თვალსაზრისით, ხშირად აღნიშნავს ისტორიულ ფაქტებს. ჩვენს პრესის კორპუსში 244 შემთხვევიდან 195 შემთხვევაში (80%) *passé simple*-ის ფორმა გამოიყენება ისტორიული მოვლენების აღწერისთვის, რომლებიც აღარ არიან დაკავშირებული აწმყოსთან. აღსანიშნავია, რომ *Passé simple*-ის გამოყენება, განსაკუთრებით წერილობით და სპონტანურ მეტყველებაში, მოითხოვს ენობრივი კულტურის ცოდნას. თუმცა, ჩვენ მიერ გაანალიზებულ მაგალითებში შეინიშნება ორთოგრაფიული შეცდომები, რაც მიუთითებს, რომ მომხმარებლები ხშირად ვერ ახერხებენ ზმნების სწორი გრამატიკული ფორმების შენარჩუნებას და ეს არ ეხება მხოლოდ *passé simple*-ს, მაგ.: „au Seigneur des Anneaux, j'ai pu constaté {j'ai pu constater} et ressentir un entrain plus important; Certainement des raisons mercantiles poussés par les producteurs aillant payés {ayant payé} une fortune les droits du livre.“

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც *futur antérieur*, ისე *passé simple* ფუნქციონირებს განსხვავებულად დისკურსის ტიპის ცვლილებისას. ეს განსხვავებები ეხება როგორც მათი გამოყენების სიხშირეს, ისე ფუნქციურ დატვირთვას. ორივე ფორმა პრესის ტექსტებში ასრულებს არა მხოლოდ დროით, არამედ მოდალურ, შეფასებით ფუნქციებსაც, ხოლო სპონტანურ წერილობით მეტყველებაში ისინი ან იშვიათად გვხვდება, ან ფუნქციურად ტრანსფორმირდება. აღნიშნული დინამიკა ნათლად აჩვენებს გრამატიკული ფორმების სემანტიკური გამოყენების მოქნილობას და ამავდროულად ხაზს უსვამს ენათმეცნიერების ერთ-

ერთ ფუნდამენტურ პრინციპს: ფორმის ფუნქცია არ არის სტატიკური და ის განისაზღვრება დისკურსული გარემოთი, კომუნიკაციური მიზნებითა და სოციალური კონტექსტით.

ლიტერატურა:

- Anscombre, J.-C. (2005). *Temps verbaux et types de discours*. In: *Langue française*, n°145.
- Combettes, B. (2003). *Le passé simple et le passé composé dans la presse française contemporaine*. In: *Langages*, n°149.
- Delente, C., & Kermorvant, C. (2011). Corpus linguistics and temporal expressions: The case of futur antérieur. In: *Proceedings of the Corpus Linguistics Conference*.
- Grevisse, M., & Goosse, A. (1994). *Le Bon Usage* (13e éd.). Paris: Duculot.
- Legallois, D., & Poudat, C. (2015). *Corpus et discours : méthodes, usages et enjeux*. Rennes: Presses universitaires de Rennes.
- Rossari, C. (2000). *Les temps du passé dans les textes*. Genève: Droz.

Ekaterine Gachechiladze

Akaki Tsereteli State university
Kutaisi, Georgia

e-mail: ekaterine.gachechiladze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.03>

SJIF 2025: 8.584

The Functioning of Temporal Forms in Different Types of Discourse: Features of the Use of Futur Antérieur and Passé Simple in French

Abstract

One of the central concerns of discourse analysis is the examination of how grammatical forms function across various types of discourse. A verb form may assume significantly different semantic and pragmatic roles depending on the discourse context. The functioning of verb tense forms depends on the structure of the text, its purposes, stylistic norms, and the form of speech (formal, spontaneous, written, or oral). It is especially interesting to discuss those forms that are relatively rare in everyday speech, although they carry significant semantic load. This article offers a comparative analysis of the verb forms futur antérieur and passé simple in two distinct discourse types: printed press texts and spontaneous written communication, including user comments, online reviews, and other unedited texts. In press discourse, both forms exhibit not only temporal but also modal and evaluative functions, while in spontaneous written discourse, they appear less frequently or undergo functional shifts. This variation underscores the fact that the function of a verb form is not fixed but is contingent upon the discursive environment, communicative intent, and broader social context.

Keywords: discourse analysis, spontaneous speech, verb tenses, written discourse

რეკენზენტი: პროფესორი მარია აფანასიადი